

(2009)

შუალედური წესი ინფორმაციის გაცვლისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიას შორის

1. შინაარსი:

1.1. ეს შუალედური წესი შესაბამისობაშია ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების მე-6 პუნქტთან, როგორც იგი დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულების მ. სააკაშვილის მიერ.

1.2. ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების ფარგლებში საქართველომ იკისრა ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ამ შუალედურ წესში არაფერი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ექვსპუნქტიან ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს.

1.3. ეს შუალედური წესი წარმოადგენს “დავების პრევენციისა და მოგვარების დროებითი მექანიზმის (ტექნიკური შეთანხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელს შორის)” დამატებას, რომელიც 2008 წლის 10 ოქტომბერს გაფორმდა.

1.4. ეს შუალედური წესი მიზნად ისახავს სრული, გამჭვირვალე და ქმედითი მექანიზმის შექმნას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა (შემდგომში, სთს; წარმოდგენილი მინისტრის, ვასილ სიხარულიძის სახით) და ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიას (შემდგომში ეკმმ, წარმოდგენილი ელჩის, ჰანსიოერგ ჰაბერის მიერ) შორის, შემდგომში საერთო ინტერესებისა და მათი სათანადო ამოცანების სფეროებში ორივე მოხსენიებული იქნება, როგორც “ხელმომწერები”.

2. პრინციპები:

2.1. სთს თავს იკავებს მისი ბატალიონების ან უფრო მაღალი დანაყოფების, ყველა სახის არტილერიისა და 120 მმ ან უფრო მეტი კალიბრის ნაღმტყორცნების და 5-ზე მეტი ჯავშანტექნიკის (60 მმ-ზე მეტი და 120 მმ-ზე ნაკლები) ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაადგილებისაგან ჩრდილოეთის მიმართულებით - ხაშურიდან, გორიდან, ბაზალეთიდან; დასავლეთის ან ჩრდილოეთის მიმართულებით - ანანურიდან, დუშეთიდან, მჭადიჯვრის გზიდან; ან საქართველოს სამხედრო გზის დასავლეთით ანანურის ჩრდილოეთიდან, სამხრეთ ოსეთის (საქართველო) ადმინისტრაციული საზღვრის მიმართულებით - როგორც ეს თანდართულ რუკაზეა ასახული, რომელიც მოცემული შუალედური წესის განუყოფელი ნაწილია. ეს შეზღუდვა არ ეხება გორის და/ან ხაშურის რაიონების ძირითადი გზატკეცილების გამოყენებას. სთს-მ ასევე უნდა დააკმაყოფილოს იგივე შეზღუდვა 15 კმ-ის მანძილის ფარგლებში აფხაზეთის (საქართველო) ადმინისტრაციული საზღვრიდან.

2.2. სთს-ის ბატალიონზე უფრო მაღალი რანგის ძალების ტაქტიკური წვრთნების შესახებ ინფორმაცია ეკმმ-ის საკონტაქტო პირს უნდა ეცნობოს არანაკლებ 48 საათით ადრე. ეკმმ-ის წარმომადგენლები უფლებამოსილი არიან შევიდნენ სთს-ის შეიარაღებული ძალების მუდმივი დისლოკაციის ადგილებში, 24 საათით ადრე გაფრთხილების შემდეგ.

3. ინფორმაციის გაცვლა:

3.1. თუკი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დასჭირდება 2.1. პუნქტში აღნიშნული მოქმედებების განხორციელება, სთს ამის შესახებ 24 საათით ადრე აცნობებს ეკმმ-ს. როგორც მინიმუმი, შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს დეტალები ჯგუფის შემადგენლობის შესახებ, კერძოდ, პერსონალის და ტექნიკის რაოდენობა, დაგეგმილი მარშრუტი, დრო და დანიშნული მეკავშირე ოფიცერი და მისი საკონტაქტო მონაცემები.

3.2. ეს შუალედური წესი ღია დოკუმენტია, რომელზედაც ხელი მიუწვედება საზოგადოებას. თუმცა ამ წესის შესაბამისად გადაცემული ინფორმაცია კონფიდენციალურია, თუკი მის შესახებ სთს რაიმე სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

4. მოდალორობა:

4.1. ამ დოკუმენტის 3.1. პუნქტში მითითებული ნებისმიერი ღონისძიების ჩატარების გეგმების შესახებ ინფორმაცია ეკმ-ის საკონტაქტო პირს გადაეცემა ელექტრონული ფოსტით ან ტელეფონით, ღონისძიებამდე 24 საათით ადრე, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა.

4.2. სთს და ეკმ დანიშნავს ორ საკონტაქტო პირს, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლაზე. საკონტაქტო პირები მოქმედებენ ყოველდღე, 24 საათიან რეჟიმში.

4.3. გამჭვირვალებისათვის ხელშეწყობის მიზნით ხელმომწერები თანხმდებიან შეხვდნენ ორ კვირაში ერთხელ, სამხედრო საკითხების განხილვის მიზნით. შეხვედრას უნდა ესწრებოდნენ, სულ მცირე: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი და გაერთიანებული შტაბის უფროსი, ეკმ-ის პოლიტიკური-ადმინისტრაციული სფეროს ოფიცერი, ეკმ-ის სამხედრო მრჩეველი.

4.4. ხელმომწერები ამ შუალედურ წესს განიხილავენ, როგორც სამომავლო თანამშრომლობის ჩარჩოს.

4.5. ეს შუალედური წესი განიხილება როგორც ერთიანი დოკუმენტი, რომლის რაიმე ნაწილის შეჩერება ნებისმიერი მხარის მიერ დაუშვებელია. ამ შუალედური წესის ნაწილობრივი შეჩერება ავტომატურად იწვევს მის შეწყვეტას.

4.6. საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში ამ შუალედური წესის მოქმედება ავტომატურად წყდება.

4.7. ეს შუალედური წესი ძალაშია 3 თვის განმავლობაში და ავტომატურად გრძელდება ყოველი მომდევნო 3 თვით, თუკი რომელიმე მხარე მეორე მხარეს ერთი კვირით ადრე არ შეატყობინებს მისი გადაწყვეტილების შესახებ მოცემული წესის შეწყვეტის თაობაზე.

2009 წლის 26 იანვარი

სთს-ის სახელით ვასილ სიხარულიძე, მინისტრი

ეკმ-ის სახელით ელჩი ჰანსიოერგ ჰაბერი, მისიის ხელმძღვანელი

(საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი/საკუთარი თარგმანი)